ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 2 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 10

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 10

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარ შუშანია
4. მედეა თათარიშვილი
5. ვლადიმერ ქანთარია
6. ლევან ლიპარტია
7. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის მ. ლემონჯარიას 2022 წლის 30 ნოემბრის N19-51223343 განცხადების განხილვა („დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ წარდგენის თაობაზე“)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის მ. ლემონჯარიას 2022 წლის 30 ნოემბრის N19-

51223343 განცხადების განხილვა („დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ წარდგენის თაობაზე“)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მ. ლემონჯარიას განცხადება დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ წარდგენის შესახებ (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის კანონით დადგენილი რაოდენობის საკრებულოს წევრთა ხელმოწერები და შემოვიდა წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკითხის განხილვის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი წინადადება შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი წინადადება დ. გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ წარდგენის თაობაზე, შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, რომელიც ჩატარდება 2022 წლის 2 დეკემბერს 15^{00} სთ-ზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე